პროექტი PRINTeL

ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული სერტიფიცირებული ტრეინინგი

„აქტიური სწავლება შებრუნებული სწავლების პრინციპით“

11-15 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ERASMUS+ პროგრამის PRINTeL პროექტის ფარგლებში, ჩატარდა ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული სერტიფიცირებული ტრეინინგ-კურსი „აქტიური სწავლება შებრუნებული სწავლების პრინციპით“ (Active Learning in the Flipped Classroom), რომელსაც უძღვებოდა ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ბორის გითოლენდია (სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი). მან შესაბამისი შესაბამისი გადამზადება (ტრენერთა ტრენინგები - TOT) გაიარა პროექტის კონსორციუმის წევრ პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტში, კერძოდ, ლინკოპინგის უნივერსიტეტში (შვედეთი).

მზადება ტრენინგისთვის



„აქტიური სწავლება შებრუნებული სწავლების პრინციპით„ შესახებ

ტრეინინგები ტარდებოდა 5 დღის განმავლობაში და ითვალისწინებდა დღეში 2-საათიან სესიებს. ჯამში 10 საათიანი აქტივობა საკმაოდ დატვირთულ და ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა და მოიცავდა სხვადასხვა აქტივობებს, მათ შორის სასესიო და სალექციო საათებს; პრაქტიკულ და ჯგუფურ სამუშაოებს; ჯგუფურ და ინდივიდუალურ პრეზენტაციებს და როლურ თამაშებს.

აქტიური სწავლების სტრატეგია (ინდივიდუალური მუშაობა)

ტრეინინგები, ასევე, ითვალისწინებდა სალექციო კურსების (სილაბუსების) რედიზაინს და პროგრამა PowerPoint-ში ვიდეო ლექციების შექმნის პრაქტიკულ სამუშაოებს, საპრეზენტაციო პროგრამების გამოყენების პრაქტიკულ მეცადინეობას.

ჯგუფური მუშაობა

ტრეინინგი ეფუძნებოდა ლინკოპინგის უნივერსიტეტის და პროექტის სხვა პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებას.

პრეზენტაციები *აქტიური სწავლების დიაგრამა*

მასწავლებელთა მომზადების ტრეინინგებს ესწრებოდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, რომლებსაც ინტენსიური და საკმაოდ დატვირთული სამუშაო და სალექციო კურსის ბოლოს, ტრეინინგის განმავლობაში დამუშავებული, ფინალური პროექტის შეფასების შემდეგ, გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

სერთიფიკატების გადაცემა

აღნიშნული ტრეინინგები ტარდებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინოვაციების ცენტრის, პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის (რომელიც, თავის მხრივ, PRINTeL პროექტის ინსტიტუციური განვითარების კონტექსტის გათვალისწინებით დაფუძნდა) და სტუ-ს პროფესიული განვითარების ცენტრის თანამშრომლობით.

ჯგუფური ფოტო ტრენინგების - ბოლო დღე